

## დებატი VII. სექტორი- ჯანდაცვა

ჯანმრთელობის ჯგუფის სამუშაო გეგმა

მონაწილეებს ვთხოვთ:

1. შეაფასეთ პრობლემათა სქემაში წარმოდგენილი კლასტერების (პრობლემების კატეგორიების) ადეკვატურობა (სადისკუსიო მასალის I თავი);
2. დააჯგუფებთ კლასტერებად ის პრობლემები, რომელნიც არ არის დახარისხებული კატეგორიებად (სადისკუსიო მასალის I თავი);
3. დაამატეთ სხვა მნიშვნელოვანი კლასტერები, რაც არ არის მოხსენიებული დოკუმენტში;
4. გადახედეთ თითოეული კლასტერის ქვეშ გაერთიანებულ პრობლემებს, შეასწორეთ და შეავსეთ ისინი;
5. შეადგინეთ პრობლემათა ხე;
6. განსაზრვრეთ, თუ რამდენად სრულად პასუხობს II თავში დასახული სტრატეგიული მიმართულებები I თავში წარმოდგენილ პრობლემებს;

## სადისკუსიო მასალის II თავი:

### სტრატეგიული მიმართულებები ჯან. დაცვის სექტორში

ა) განხორციელდეს სამედიცინო მომსახურების რეფორმა შემდეგი ღონისძიებებით:

- დაინერგოს უფასო პირველადი სამედიცინო მომსახურება, რომელიც დაფინანსდება სავალდებულო სოციალური (სამედიცინო) გადასახადებით;
- მეორადი სამედიცინო მომსახურება იყოს ფასიანი, (შესაძლოა დაიფაროს კერძო დაზღვევით)

ბ) განხორციელდეს ფარმაცევტული სექტორის რეფორმა:

- წარმოჩინდეს განსხვავება ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის;
- შემოღებულ იქნას სუბსიდიები ზოგად და სპეციფიურ მედიკამენტებზე;
- მედიკამენტების პირველი ჯგუფი დაიფაროს სოციალური გადასახდებით / შესაბამისი ფონდებით.

*ჯანმრთელობა და სიღარიბე*

- ნებისმიერი დაავადების მკურნალობა საჭიროებს გარკვეულ ხარჯებს;
- ოჯახის თუნდაც ერთი წევრის ქრონიკული ავადობა მნიშვნელოვნად ზრდის შინამეურნეობის სიღარიბის რისკს;
- სერიოზული დაავადების მკურნალობა (ქირურგიული ჩარევები..) საჭიროებს მნიშვნელოვან ხარჯებს, რის შედეგადაც ოჯახის ბიუჯეტი საგრძნობლად მცირდება და მის აღდგენას ესაჭიროება ხანგრძლივი დრო;

ზოგადად, დაავადება და, ხშირად, სამედიცინო მომსახურების მწირი ხელმისაწვდომობა გამანადგურებელ ზეგავლენას ახდენს პიროვნებასა და შინამეურნეობაზე, და იწვევს მათ სიღარიბეს.